აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

02 სექტემბერი 2015 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: თამარა ხოზრევანიძე, გუგული დუაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე და თორნიკე მჟავანაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. **განკარგულება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. **განკარგულება** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

3. **სხვადასხვა.**

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

2. განკარგულება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ;

3. სხვადასხვა.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანომდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის ვაკანსიის წარმოქმნის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის წევრთაგან უმაღლესი საარჩევნო კომისია ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ ორ წევრს, რის შემდეგაც კომისიის წევრებს შესთავაზა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვეს: თამარა ხოზრევანიძემ, გუგული დუაძემ, რამაზ გოლომანიძემ და ზურაბ გოლიაძემ.

თამარა ხოზრევანიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგლის ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგინა გუგული დუაძის

კანდიდატურა მან აღნიშნა, რომ გუგული დუაძეს აქვს საარჩევნო სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება.

გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ იგი ასახელებს თამარა ხოზრევანიძესთან ერთად თავის კანდიდატურას კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე და აღნიშნა, რომ აცნობიერებს და მზადაა პასუხისმგებლობით მოეკიდოს არჩევის შემთხვევაში მასზე დაკისრებულ მოვალეობა.

რამაზ გოლომანიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგლის ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგინა ზურაბ გოლიაძის კანდიდატურა.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ იგი ასახელებს რამაზ გოლომანიძესთან ერთად თავის კანდიდატურას კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ იგი პატივს სცემს უსკოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებულ ორივე კანდიდატურას მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და უსურვებ წარმატებებს რის შემდეგაც, თავდაპირველად კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად გუგული დუაძის კანდიდატურა.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ხოზრევანიძე თამარა - მომხრე
3. დუაძე გუგული - მომხრე
4. გოლიაძე ზურაბ - წინააღმდეგი
5. გოლომანიძე რამაზ – წინააღმდეგი
6. მჟავანაძე თორნიკე - თავი შეიკავა

მომხრე 3;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისრის შედეგების მიხედვით კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არ იქნა არჩეული გუგული დუაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ იქნეს არჩეული გუგული დუაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ასარჩევად ზურაბ გოლიაძის კანდიდატურა.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - თავი შეიკავა
2. ხოზრევანიძე თამარა - თავი შეიკავა
3. დუაძე გუგული - თავი შეიკავა
4. გოლიაძე ზურაბ - მომხრე
5. გოლომანიძე რამაზ – მომხრე
6. მჟავანაძე თორნიკე - თავი შეიკავა

მომხრე 2;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისრის შედეგების მიხედვით კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ არ იქნა არჩეული ზურაბ გოლიაძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ იქნეს არჩეული ზურაბ გოლიაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აზრი გამოთქვეს: არჩილ მიქელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სახელობით კენჭისყრის შედეგად ვერ მოხდა დასახელებულ კანდიდატთაგან (გუგული დუაძე და ზურაბ გოლიაძე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა, შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა უსკოს თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი აღნიშნულ თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში - მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი. არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ გუგული დუაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა კომისიის სამმა წევრმა ხოლო ზურაბ გოლიაძის კანდიდატურას კომისიის ორმა წევრმა, შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას თავმჯდომარის მოადგილის არჩევამდე შეარულებს გუგული დუაძე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას თავმჯდომარის მოადგილის არჩევამდე შეასრულებს გუგული დუაძე.

აზრი გამოთქვეს: გუგული დუაძემ და არჩილ მიქელაძემ

გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ იმედი ჰქონდა, რომ მხარს დაუჭერდა თავმჯდომარის მოადგილედ არჩევასთან დაკავშირებით კომისიის ყველა წევრი. ასევე აღნიშნა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ფიქრობს მოიხსნას კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მ/შ პასუხისმგებლობა.

არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ თავმჯდომარის მოადგილის მ/შ ფუნქციის დაკისრება ამ შემთხვევაში კომისიის წევრის სურვილზე არ არის დამოკიდებული, მას ამ მოვალეობას კანონი აკისრებს.

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, არჩილ მიქელაძემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევის შესახებ“ და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, კომისიამ თავისი შემადგენლობიდან უნდა აირჩიოს უსკოს მდივანი. სხდომის თავმჯდომარემ კომისიის არანაკლებ ორ წევრს შესთავაზა უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის დასახელება.

აზრი გამოთქვეს: გუგული დუაძემ, თამარა ხოზრევანიძემ, ზურაბ გოლიაძემ და რამაზ გოლომანიძემ.

გუგული დუაძემ აღნიშნა, რომ ის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე ასახელებს თამარა ხოზრევანიძის კანდიდატურას. მან აღნიშნა, რომ თამარა ხოზრევანიძეს კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა დარჩენილი აქვს ექვსი თვე თუმცა მას აქვს საკმარისი გამოცდილება საარჩევნო სფეროში.

.

თამარა ხოზრევანიძემ აღნიშნა, რომ იგი ასახელებს გუგული დუაძესთან ერთად თავის კანდიდატურას კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე.

ზურაბ გოლიაძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე წარადგინა რამაზ გოლომანიძის კანდიდატურა.

რამაზ გოლომანიძემ აღნიშნა, რომ იგი ასახელებს ზურაბ გოლიაძესთან ერთად თავის კანდიდატურას კომისიის მდივნის ვაკანტურ თანამდებობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე თავდაპირველად კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად ასარჩევად თამარა ხოზრევანიძის კანდიდატურა.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - მომხრე
2. ხოზრევანიძე თამარა - მომხრე
3. დუაძე გუგული - მომხრე
4. გოლიაძე ზურაბ - წინააღმდეგი
5. გოლომანიძე რამაზ – წინააღმდეგი
6. მჟავანაძე თორნიკე - თავი შეიკავა

მომხრე 3;
წინააღმდეგი 2;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისრის შედეგების მიხედვით კომისიის მდივნად არ იქნა არჩეული თამარა ხოზრევანიძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ იქნეს არჩეული თამარა ხოზრევანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად ასარჩევად რამაზ გოლომანიძის კანდიდატურა.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები:

1. მიქელაძე არჩილ - თავი შეიკავა
2. ხოზრევანიძე თამარა - თავი შეიკავა
3. დუაძე გუგული - თავი შეიკავა
4. გოლიაძე ზურაბ - მომხრე
5. გოლომანიძე რამაზ – მომხრე
6. მჟავანაძე თორნიკე - მომხრე

მომხრე 3;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

ჩატარებული სახელობით კენჭისრის შედეგების მიხედვით კომისიის მდივნად არ იქნა არჩეული რამაზ გოლომანიძე.

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ იქნეს არჩეული რამაზ გოლომანიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აზრი გამოთქვეს: არჩილ მიქელაძემ.

არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ სახელობით კენჭისყრის შედეგად ვერ მოხდა დასახელებულ კანდიდატთაგან (თამარა ხოზრევანიძე და რამაზ გოლომანიძე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვერ აირჩა კომისიის მდივანი აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში - მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი. არჩილ მიქელაძემ აღნიშნა, რომ დასახელებულმა კანდიდატებმა დააგროვეს თანაბარი სამ-სამი ხმა, კანონის თანახმა, მოცემულ სიტუაციაში მდივნის მოვალეობას, მის არჩევამდე, შეასრულებს მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი, რის შემდეგაც სხდომის

	თავმჯდომარემ უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატს სთხოვა წილისყის პროცედურის უზრუნველყოფა.

<u>**წილისყრა:**</u>

ორი თანაბარი ფურცელი დაკეცილი იქნა თანაბრად ისე, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ფურცელზე დატანილი წარწერის ამოცნობა, ერთზე დატანილი იქნა წარწერა „მდივნის მ/შ“ ხოლო მეორე ცარიელი (წარწერის გარეშე), ფურცლები მოთავსებული იქნა ყუთში. წილისყრის მონაწილე კანდიდატთაგან პირველმა რამაზ გოლომანიძემ ამოიღო ყუთში მოთავსებული ერთი ფურცელი, რომელიც, იყო წარწერის გარეშე, შესაბამისად, წილისყის შედეგად კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლად მის არჩევამდე გამოვლინდა თამარა ხოზრევანიძის კანდიდატურა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, კომისიის მდივნის მოვალეობას მდივნის არჩევამდე შეასრულებს თამარა ხოზრევანიძე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.
სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	**არჩილ მიქელაძე**
კომისიის მდივნის მ/შ	**თამარა ხოზრევანიძე**